№ 114
ხუთშაბათი, 12 ივნისი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 114
ხუთშაბათი, 12 ივნისი 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | . . . 10 — | 6 | . . . 6 — |
| 1 | . . . 9 50 | 5 | . . . 5 50 |
| 10 | . . . 8 75 | 4 | . . . 4 75 |
| [illegible] | . . . 8 — | 3 | . . . 3 50 |
| 1 | . . 7 25 | 2 | . . . 2 75 |
| 1 | . 6 50 | 1 | . . . 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## კბილის ექიმი
## ვ. ი. ჭიჭინაძე
ნიკოლოზის ქუჩა, 21 („ივერიის" რედაქციის ქვეშ).

### რედაქციისაგან

ჩვენ მივიღეთ პეტერბურგიდგან შემდეგი წერილი, ოსმალეთსა და საბერძნეთ შორის ომიანობისა გამო დაზარალებულ ოჯახების დასახმარებლად შემდგარ კომიტეტისაგან:

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

უმაღლესად ნება დართული გვაქვს გავმართოთ მთელს იმპერიაში ხელის მოწერა ომიანობის დროს დაზარალებულ ბერძენთა ოჯახების დასახმარებლად და ამასთან დავაარსოთ ამ საქმისათვის საგანგებო კომიტეტი.

ომიანობამ მოკლულთა და დაჭრილთა მრავალი ოჯახი გააუბედურა. მათი დახმარება საჭიროა. ცრემლმა და გოდებამ შეიპყრო საბერძნეთის სამეფოს მცხოვრებნი. დიდ-სულოვანი ერი რუსეთისა, ეჭვი არ არის, შეისმენს ომიანობის მსხვერპლთა ხვეწნა-მუდარას.

დარწმუნებულნი ვართ-რა, რომ რუსეთის ერი თანაუგრძნობს მართლ-მადიდებელ საბერძნეთის უბედურ მცხოვრებლებს, უმაღლესის ნება-რთვითა, ვმართავთ ხელის-მოწერას ბერძენთა დაზარალებულ ოჯახების სასარგებლოდ.

ყოველსავე შემოწირულებას, რაც უნდა მცირე იყოს იგი, დიდის მადლობით მივიღებთ.

შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება ამ წერილის ხელმომწერთა თითოეულის სახელობაზედ, ანუ პეტერბურგის თამასუქის გამნაღდებელ და ფულის გამსესხებელ ბანკში, რომელიც თავის მხრივ ფულს გადასცემს ამ საქმისათვის შემდგარს კომიტეტს.

იმედი გვაქვს, რომ თქვენი გაზეთი თანაუგრძნობს ამ საქველ-მოქმედო საქმეს და უარს არ გვეტყვით ამ წერილის დაბეჭდვისას. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ იკისროთ მიღება ფულისა შემომწირველთაგან ზემოხსენებულ საქველ-მოქმედო საქმისათვის და ფული შეგროვებისამებრ გაჰგზავნოთ პეტერბურგის ზემოხსენებულ ბანკში ჩვენდა გარდმოსაცემად.

დ. ა. პეტროკოკინო
ა. გ. სკარამანგა
გ. ი. ქემორვოპულო

ტფილისი, 11 ივნისი.

ამ რამდენისამე დღის წინად ერთი ფრიად საყურადღებო კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი გურიიდამ გაზ. „ცნობის ფურცელში", და ჩვენის აზრით, უსათუოდ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ ამბავს. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ახალის განკარგულებით, სოფელს, რომელშიაც რაიმე ქურდობა მოხდება და ქურდი-კი არ აღმოჩნდება, ე. ი. დაიფარება და სოფელივე არ ეცდება ბოროტ-მომქმედი მართლმსაჯულებას მისცეს ხელში, ერთმევა უმაღლესად მინიჭებული უფლება მამასახლისის არჩევისა და მთავრობა დაუნიშნავს მამასახლისსაცა და დარაჯსაც, რასაკვირველია, ღირსეულის საფასით, რომელიც სოფელმა უნდა გადაიხადოს.

ჩვენ აქ არ შევეხებით მთავრობის მიერ დანიშნულის მამასახლისისა და დარაჯთა ჯამაგირის რაოდენობას, არც იმას, თუ რამდენად სამძიმო იქნება სოფლისათვის დიდის ფულის გაღება, ან რამდენად დროსა და გარემოებასთან შეთანხმებულია ასეთი განკარგულება, —ვიტყვით მხოლოდ რად მივაქციეთ ყურადღება ამ ახალს განკარგულებას.

როგორც კორესპონდენტი იწერება, მიზეზი ასეთის განკარგულებისა ის გარემოება გახლავთ, რომ ამ ბოლოს დროს ზუგდიდის მაზრაში ქურდობა მეტად გავრცელდაო; და აი, ამ ბოროტების მოსასპობლად მთავრობას ეს საშუალება უცვნია საჭიროდ. ეჭვი არ არის, აზრი ასეთის განკარგულებისა ის არის, რომ სოფლის მცხოვრებთ მყუდროდა და მშვიდობიანად იცხოვრონ, მოისპოს ქურდობა იმ სოფლის შეერთებულის ძალით, რომელსაც, შეიძლება, საერთო დარაჯობა ვუწოდოთ და რომელიც ხშირად უებარ საშუალებად უნდა ჩაითვალოს ქურდობის მოსპობის საქმეში, მეტადრე იქ, სადაც ეს ბოროტება ხალხის სენად არის გადაქცეული. ადგილობრივი მთავრობა მაინც, სჩანს, ასე ჰფიქრობს, რომ ამგვარის უკიდურესის საშუალებისათვის მიუმართავს.

მაგრამ ხსენებულის საქმის გარემოება მაინც ყველას ყურადღებას მიიზიდავს, რა სახითაც უნდა წარმოვიდგინოთ იგი. აქ მხოლოდ ერთი რამ არ უნდა დაივიწყოს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და აი სახელდობრ რა.

როგორც ვიცით, ხშირად ქურდობა უფრო შორიდგან მოსულ, ან მეზობელ საზოგადოების წევრთაგანა ხდება, ქურდობა-ყაჩაღური, თორემ წვრილმანი ქურდობა ხომ არც ასეთს საშუალებას გამოიწვევდა. ამისათვის ადგილობრივის ადმინისტრაციის უმთავრესს მოვალეობას ქურდობის აღმოჩენა-ძიების დროს ის გულ-შემატკივრობა და გლეხთა შევიწროვებულ ცხოვრების მიმართ თანაგრძნობა უნდა შეადგენდეს, რომელსაც სამართლიანობა ეწოდება, და აი ამ კეთილისა და მამობრივის გრძნობით უნდა მიჰმართოს ყოველთვის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა სოფელს. ხოლო ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებისა და მიდრეკილების ზედმიწევნით ცოდნა, მეორე—სურვილი, უბრალო მოხელეურ მოვალეობის მოხდას არ ჰფიქრობდეს ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომ ამითი საქმე გაიადვილოს და მუდამ იმის ფიქრში იყოს, საქმე ძირითადად გამოიკვლიოს, სოფელს აცალოს ბოროტ-მომქმედის აღმოჩენა და, თუ ვერ აღმოაჩენს, მაშინ ზემოდ აღნიშნულს მადლიანს სამართალს მიჰმართოს და მსჯავრი ისე დასდოს. თორემ ვინ იცის, რამდენ გზის მოუხდება სოფელს უსამართლოდ სხვის დანაშაულისა გამო თავისის ქედით სასჯელის ზიდვა და მაშინ ხომ ეს განკარგულება ორპირს მახვილს დაემზგავსება, რომელიც, ეჭვი არ არის, ზარალის მეტს სარგებლობას არავის მოუტანს, რადგანაც ერთის მხრივ ქურდობა შეჰხუთავს სულს, მეორე მხრივ ის გარდასახადი, რომელიც მთავრობის მიერ დანიშნულის მამასახლისისა და დარაჯთა სასარგებლოდ უნდა გაიღოს.

იმედია, ადგილობრივი ადმინისტრაცია სწორედ ამ სამართლიანობას წაიმძღვარებს წინ და ეცდება როგორც ჩაგონებით, ისე მამობრივის სამართლიანობით დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ მთავრობას მხოლოდ მათივე კეთილდღეობა და მშვიდობიანი ცხოვრება აქვს სახეში, როდესაც ამგვარს სასტიკს საშუალებას მიჰმართავს ხოლმე.

ინ-ანი.

# ფელეტონი

## ნაწყვეტი

გულო, ცეცხლ-ნავთში დამწვარო,
სისხლის ფრად დანაცრებულო,
რად ჰფარავ შენსა ნაღველსა,
შავ-ბედით გაწამებულო?..
მარტოს მკლავ, სხვებთან მაცინებ,
სატირლად დაბადებულო,
ნულარ ჰთვალთმაქცობ, გამაპე,
სევდის ზღვად დაგუბებულო!..

დ. მაჩხანელი

## ისტორიული შენიშვნები ქართველებისა და სომხების ურთიერთობის შესახებ

წერილი პირველი

(საქართველოს ალბანია)

„სიმართლემ სძლია ბოროტსა;
არსება მისი გრძელია."

შოთა

ძველი ალბანია (სომხების აღოვანი) ანუ ალვანი დიახ რომ დიდი ქვეყანა იყო, მრავალ-რიცხოვანის ხალხით დასახლებული. თავდაპირველად ალბანიას აწინდელი შირვანი და დაღესტანი შეადგენდა. ძველად ამ ქვეყანაში, ნამეტურ მტკვრის მარცხენა ნაპირას, ბევრი სხვა-და სხვა ჯურის ხალხი სცხოვრობდა, რომელთაგან თითოეული თავისს დედაენაზედ ლაპარაკობდა. სტრაბონი უჩვენებს ალბანიაში ოც-და-ექვსს ენას. მეათე საუკუნის მწერალი იბნ-ჰავკანი ამბობს, რომ მის დროს ალბანიაში ბევრს ენაზედ ლაპარაკობდნენ [1]). ალბანიის სახელწოდება თანდათან სხვა მეზობელს მხარეებზედაც გავრცელდა. მთელი ის მხარე, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირს მცხეთიდამ დაწყებული ბაქომდის (ძველად „ალბანოპოლი") და დარუბანდამდის ალბანიად იწოდებოდა. ალბანიის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში წმ. მოციქულების დროსვე ქრისტიანობა ბართლომე მოციქულმა იქადაგა, რომელიც იქვე წამებულ იქმნა [2]). ალბანიაში იმ თავითვე მეზობლად სცხოვრობდა ორი ნიჭიერი და ქრისტიანობის მოყვარე ერი: ქართველები და სომხები. სომხები ბაქოს ახლო-მახლო უფრო სცხოვრობდნენ; იორის და ალაზნის ხეობაში და ალაზნიდამ მოკიდებული კავკასიონის მთებამდის-კი ქართველი ხალხი სცხოვრობდა. იმ თავითვე ამ ორს ხალხს შორის კულტურული ბრძოლა ასტყდა და თითოეულს მათგანს სურდა ცხოვრების მოედანზედ პირველობა დაერჩინა. ამის მიხედვით მთელი ალბანია ორს ნაწილად განიყოფებოდა: საქართველოს ალბანიად და სომხითის ალბანიად. ერთი განსაკუთრებული თვისება საზოგადოდ ალბანიის მცხოვრებლებისა ის იყო, რომ ესენი რამდენსამე სამთავროებად იყვნენ დაყოფილნი; თითოეულს სამთავროს თვისი საკუთარი გამგე ჰყავდა, რომელსაც ზოგან პატიახშს და ზოგან ქორიკოზს ეძახდნენ. ჯერ კიდევ პირველს საუკუნეში მცხოვრები სტრაბონი ამბობს ალბანიის შესახებ შემდეგს: „ალბანია დასახლებულია მრავალ პატარა-პატარა ტომისაგან, რომელთაც არა აქვსთ ერთმანერთში დამოკიდებულება. თითოეულს ალბანიის ტომს ჰყავს საკუთარი მეფე. ერთი იმათგანი ბრძანებლობს დანარჩენთა [3]). საქართველოს ალბანიაც რამდენსამე სამთავროდ იყო დაყოფილი, ამ სამთავროებს ერთმანერთში აკავშირებდა საერთო დედა-ენა (ქართული) და მეოთხე საუკუნიდამ სჯული (მართლ-მადიდებლობითი სარწმუნოება). საქართველოს ალბანიის უმთავრესი ნაწილები იყო: კახეთი, კუხეთი, ქიზიყი და ჰერეთი. ჰერეთის მცხოვრებლებს კიდევ სხვა-ნაირად „მონაპირენი", ანუ „წინარები" ერქვათ, რადგანაც ისინი საქართველოს განაპირა ადგილას სცხოვრობდნენ და წინ უნდა შეხვედროდნენ დარუბანდის კარით შემოსეულს მტრებსა.

ჰერეთლების შესახებ აი სტრაბონი რას ამბობს: „მთიანს ადგილებში სცხოვრობს მეორე ნაწილი ივერიელებისა, რომელთა რიცხვი აუარებელია. ესენი სცხოვრობენ კავკასიის მთების დაყოლებაზედ კასპიის ზღვამდის" [4]). ჰერეთლების შესახებ ჰმოწმობს სომეხთ მემატიანე ვარდან დიდი [5]), რომ ისინი მეცამეტე საუკუნეში ქართულად ლაპარაკობდნენ, მართლმადიდებელს სარწმუნოებას აღიარებდნენ და ჰყავდათ თვისი ქორ-ეპისკოპოსი. მეათე საუკუნის გასულს საქართველოს ალბანია პოლიტიკურად შეუკავშირდა საქართველოს სომხითს (ტაშირს, ხუნანს, გუგარკს); სომეხ ბაგრატიონების ჩამომავალმა მეფემ კვირიკემ სატახტო ქალაქად დააწესა ლორი, რომელიც საქართველოს სომხითში მდებარეობს. აქედგან წარმოდგნენ ესრედ წოდებულნი ლორის ბაგრატიონები, რომელთ მეფობა მოისპო 1103 წელს, ოდეს მეფემ დავით აღმაშენებელმა შეუერთა თავისს სამეფოს კახეთ-ჰერეთი და საქართველოს სომხითი.

საქართველოს ალბანიას ძველთაგანვე თვისი გამგეები ჰყავდა. მირიან მეფის (265—342) შვილი რევი უჯარმაში სცხოვრობდა და კახეთ-კუხეთის გამგე იყო. მირიანის ძმ ბაქარმა კახეთის ერისთავად თავისი ძმის-წული ტირდატი დანიშნა. მეექვსე საუკუნეში საქართველოს ალბანიის ორს ნაწილს კახეთ-კუხეთს და ქიზიყს ბაგრატიონთა ჩამომავლობა დაეპატრონა. გვარამ ბაგრატიონის, საქართველოს მეფის (575—600), სამი ძმა კახეთისაკენ წავიდა. ერთი კახეთში გაბატონდა და ორმაც ქიზიყში მოჰკლა სპარსთა ერისთავი და და ეს მხარე დაიპყრა. მათს სატახტო ქალაქად ხორნაბუჯი ითვლებოდა. ჰერეთი-კი დაისაკუთრეს სასანიდის გვარის ქართველთ მეფის ბაკურმესამის (557—570) შვილებმა, რომელნიც გვარამის მორჩილნი იყვნენ. შემდეგ ხსენებულ გამგეებისა, რო-

[1]) S—Martin t I. p. 214—216.

[2]) Кратк. ист. Груз. церкви. II. Іоселіани стр. 3 прим. 3.

[3]) დ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია გვ. 122.

[4]) Извѣстія Гана..... стр. 66 и 115.

[5]) მისი ისტორია, გვ. 126.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წლთა შესრულების გამო ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის ექიმს კახიანს—კოლეჟსკა სოვეტნიკობა. რაჭის მაზრის ექიმს გოკიელოვს—ნადვორნი სოვეტნიკობა. სამსახურს გარეშე მყოფ ექიმს თავად ერისთავს—ნადვორნი სოვეტნიკობა. ტფილისის საგუბერნიო მმართველობის საქმის-მწარმოებელს ყიფიანს, გორის სამაზრო პოლიციის სამმართველოს მე-IX კლასის შტატს გარეშე მოხელეს ქარუმიძეს და განჯის გუბერნიის, არეშის მაზრის ბოქაულს ჩიქოვანს—კოლეჟსკი ასესსორობა. ტფილისის გუბ. თიანეთის მაზრის პოლიციის სამმართველოს მდივანს როსტომაშვილს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა. სიღნაღის მაზრის, ბაკურციხის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს თავად ჯორჯაძეს, თუშ-კახეთის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს იორამოვს და ქ. ტფილისის პოლიციის მოხელეს უთნელიშვილს—კოლლეჟსკი სეკრეტრობა. დუშეთის მაზრის პოლიციის სამმართველოს შტატს გარეშე მე-IX კლასის მოხელის თანამდებობის აღმასრულებელს თ. ერისთავს—გუბერნსკი სეკრეტრობა. სენაკის მაზრის უფროსის ფერშალს ბრეგაძეს, სენაკის მაზრის სამმართველოს კანცელარიის მოხელეს მასხულიას, ქუთაისის მაზრის სამმართველოს კანცელარიის მოხელეს კარწავაძეს და ქ. ტფილისის პოლიც მეისტრის კანცელარიის მოხელეს დავითაიას—კოლლეჟსკი რეგისტრატორობა.

დამტკიცებულ იქმნა ტიტულიარნი სოვეტნიკის ხარისხში უფროსობით ზუგდიდის მაზრის სოფლის ექიმი გელოვანი.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან ბორჩალოს მაზრის ლორის ნაწილის ბოქაული როტმისტრი თავ. ვაჩნაძე.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ლეიტენანტი თავადი გოლიცინი 22 ივნისს გაემგზავრება ჩრდილოეთ-კავკასიაში სამკურნალო წყლებზედ, იქიდგან მათი ბრწყინვალება წაბრძანდება ყუბანისა და თერგის ოლქის დასათვალიერებლად.

*** როგორც „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ცნობებიდგანა სჩანს, ექს-იმპერატრიცა ევგენიას 4 ივნისს დარდანელზედ გამოუვლია და კავკასიისაკენ თურმე მობრძანდება პრინცესა მიურატის სანახავად. პრინცესა მიურატი სამეგრელოს მთავრის ქალია.

*** ხუთშაბათს, 12 ივნისს, დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის და გორის მაზრის წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებელთა დამხმარებელი კომიტეტის წევრთა სხდომა, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერის კნ. მ. ა. შერვაშიძის სახლში.

*** უკვე გადაუწყვეტიათ, საცა ჯერ არს, აშენდეს ქუთაისის სადგურზედ საყანთრო ბაქანი. ამ საქმისათვის საჭირო ფული შეტანილი იქმნება 1898 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

*** ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციას ამ ჟამად ყურადღება მიუქცევია, რომ სასოფლო ავადმყოფთა თავშესაფარებთან არსებულ აფთიაქებიდგან სოფლის მცხოვრებთ რჩევა-დარიგების გარდა, წამლებიც ეძლეოდათ ხოლმე, რისთვისაც განკარგულება მოუხდენია, რომ სოფლის ექიმებს წამლები გაეგზავნოთ.

*** როგორც შევიტყეთ, ამ ჟამად ტფილისში ჩამოსულა რამდენიმე ინჟენერი, რომელნიც ბ-ნის რამანოვის უფროსობით კახეთის რკინის გზის ლიანდაგის გამოსაკვლევად წავლენ. გზის გამოსაკვლევად მთავრობას 30000 მანათი გადაუდვია.

*** ქალაქის მეურნეობის სხვა-და-სხვა ნაწილის გამგეთათვის მიწერილობა გაუგზავნია ქალაქის გამგეობას, რომ ყველა მსახურთა დაბადების ქაღალდები და ნამსახურობის სიები წარუდგინონ. გამგეობას განზრახვა აქვს ჯერ ერთი პენსიის წესდების შემუშავების დროს იხელმძღვანელოს ამ საბუთებით და მეორეც—უფრო ნათელი და გარკვეული აზრი იქონიოს თვითეულის მსახურის შესახებ.

*** ამ დღეებში კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება ახალს წიგნს დაჰბეჭდავს ამ სათაურით: „მეფუტკრეობა და მისი მოვლა-მოშენება“. ეს წიგნაკი მ. ზაალაშვილს შეუდგენია.

სასურველია, რომ იგი სოფლის მცხოვრებთ უსასყიდლოდ დაურიგდეთ.

*** როგორც გაზეთ „კავკასს“ შეუტყვია, კავკასიის სამხედრო ინჟინერთა გამგეობის წარმომადგენელს ბ-ნ საბენევსკის საჩივარი შეუტანია ტფილისის გუბერნატორთან ქალაქის ხმოსანთა არჩევანებისა გამო და ამ არჩევანების გაუქმებასა შუამდგომლობს.

*** ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში ამ წელს სულ 32 ქალს დაუმთავრებია სწავლა. ამათში 19 რუსია,—7 სომეხი,—3 გერმანელი,—1 ებრაელი,—1 პოლონელი და ერთიც ქართველი,—დარია ისარლიშვილის ასული.

*** გაზ. „პრიაზოვსკი კრაი“-ს სიტყვით, მეცხვარეობის კომიტეტის კავკასიის განყოფილების წევრთა წლიურს კრებას, რომელიც ქ. როსტოვში მოხდა, დაუდგენია სააქციონერო ბანკი დააარსოს ამ სახელით: „სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო ბანკი“. ხსენებულს ბანკს ძირის თანხად 3.000.000 მანათი ექმნებ-ო.

*** სადგ. ხაშური. 9 ივნისს, როდესაც მემაშინეს თანაშემწე ბ-ნი ფანცულაია ორთქლ მავალს მაზუტს ასხამდა, უცბად ცეცხლი გამოვარდა და მთელი პირისახე საშინლად დაუშავდა.

*** ნადვორნი სოვეტნიკის მიხეილ იაგორის ძის სადათელოვის სახლიდგან, რომელიც ელისაბედის ქუჩაზედ იმყოფება, 7 ივნისს ვიღასაც 350 მან. მოუპარავს. სადათელოვმა ეჭვი ბორჩალოს მაზრის ს. ურუთას მცხოვრებ ალაჯან მიკირტიჩის ძე შახბაზიანცზე მიიტანა, რომელიც წინად მასთან მზარეულადა ყოფილა. პოლიციამ შახბაზიანცი მაშინვე შეიპყრო და 79 მან. და 18 კაპ. უპოვნა. დამნაშავე ქ. ტფილისის მე-3 განყოფილების 1-ლ ნაწილის გამომძიებელთან გაჰგზავნა პოლიციამ თავისის განაჩენითურთ.

*** მოსამსახურემ ყარსის რკინის გზის საავადმყოფოსამ, რომელიც პოლიციის მეათე ნაწილში იმყოფება,—ივანე გიოევმა გამოაცხადა, რომ 9 ივნისს, ღამე, ვიღაც შემოიპარა გაღებული ფანჯრიდგან საავადმყოფოს სამზარეულოში და ყუთიდგან ჩემი ფული 83 მან. და 60 კაპ. მოიპარაო. ქურდების აღმოსაჩენად პოლიციას უკვე მიუღია ზომები.

*** 7 ივნისს, ორთაჭალაში, ყორღანოვის ბაღში, ღორების გამორეკის დროს, რაჭის მცხოვრებელს პორფილე ჭელიძეს ტყუილ-უბრალოდ თოფის სროლა დაუწყია და თავისდა უნებურად დაუჭრია მარჯვენა მხარში ქუთაისის მაზრის მცხოვრებელი სერაფიონ კოსტავა, რომელიც ვაზებში მჯდარა თურმე. დაშავებული საავადმყოფოში წაუყვანიათ, ხოლო დამნაშავე შეუპყრიათ.

## ლატარია-ალეგრის ანგარიში.

სახალხო სეირნობისა და ლატარია-ალეგრიდგან, რომელიც გამართულ იქმნა 25 მაისს ამ წლისას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ, შემოვიდა: ბაღში შესასვლელის და სალატარიო ბილეთების გაყიდვიდგან 2,948 მ. 15 კ., ბუფეტისა—77 მ. 75 კ. და შემოწირულობა ფულად—195 მ., სულ 3220 მ. 90 კ.

დახარჯულა: ნივთების ყიდვაზედ 360 მ., მუსიკასა, ზურნასა და მომღერლებზედ—68 მ., შუშხუნები—75 მ., განათება—40 მ., ქალაქის მცველები—25 მ., მარკები—58 მ. 86 კ., განცხადება და აფიშა—24 მ. 50 კ., ბაღის ქირა—100 მ. და წვრილად—119 მ. 44 კ., სულ 870 მ. 80 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 2,330 მ. 10 კ.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის გამოუცხადოს ულრმესი მადლობა ყველა იმათ, რომელთაც შემოსწირეს ფული ან ნივთები და აღმოუჩინეს დახმარება სახალხო სეირნობისა და ლატარიის გამართვის საქმეში.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქ. ონი** (რაჭა), 5 ივნისი. სხვა ათასგვარ გაჭირვებასთან ერთად რიგიანი გზების უქონლობა მეტად აწუხებს მთელს რაჭის მაზრას. რკინის გზის უქონლობას კიდევ სწივის, ეს ხომ სატირალი საგანს წარმოადგენს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ საურმე გზებსაც მოკლებული ვართ. ერთად-ერთი გზატკეცილია, რომელიც ქუთაისიდგან რიონის ხეობაზედ მოსდევს და რაჭა-ლეჩხუმს სხვა კუთხეებს უკავშირებს, მაგრამ ეს გზაც ისეთს მდგომარეობაშია, რომ იმაზედ მოსიარულეს სიცოცხლე სწორედ რომ ბეწვის ხიდზედ ჰკიდია. საკმარისია ერთი ცხენმა წაიფორხილოს, ანუ დაფთხეს და მშვიდობით—შენს მკლებს ყორნების მეტი სხვა ვეღარავინ იხილავს. ეს ასეც უნდა მოხდეს, რადგან ეს გზა ისეთი ვიწროა, რომ ბევრგან ორი ეტლი ერთი მეორეს გვერდს ვერ აუვლის და ამასთანავე გზის პირზედ არც სვეტებია დასმული და არც კედელი გაყვანილი; ერთი უბრალო შემთხვევა სრულებით საკმარისია, რომ მგზავრი ცხენებიანეტლიანად თვალუწვდენელ ღრანტეში უეცრივ გადავარდეს, წუთი-სოფელს სამუდამოდ გამოესალმოს.

ასეთი უბედურება კინაღამ დატრიალდა ამ დღეებში აქ: 2 მაისს, რაჭის მაზრის ექიმი ბ-ნი გოკიელოვი და ონის პოლიციის ბოქაული ონიდგან სოფ. ნიგვზნარაში ეტლით წავიდნენ წყალში დამრჩვალ კაცის გვამის სანახავად. როცა თავიანთ საქმეს მორჩნენ

---

გორც ჰფიქრობს ბროსსე [6]), საქართველოს ალბანიის მმართველები იყვნენ წევრნი სომხითის ანუ ალოვანის დინასტიისა [7]). ისტორიულს ნაწერებში გვხვდებიან გამგეები საქართველოს ალბანიისა, რომელნიც ქართლის მეფეებს არ ემორჩილებოდნენ და მას თვისს მეუფროსედ არ იცნობდნენ.., მეშვიდე, მერვე და მეცხრე საუკუნეებში არც თვით საქართ. მეფეებს, გარდა წმ. არჩილ წამებულისა და ბაგრატ მესამისა, შეეძლოთ თვისი გავლენა ჰქონოდათ საქართველოს ალბანიის მეფეებსა და მცხოვრებლებზედ.

შემდეგ ქალკიდონის კრებისა (451 წ.) ასტყდა დავა და ცილობა სომეხთა და ქართველთ შორის სარწმუნოების შესახებ. მეექვსე საუკუნის გასულს, სახელდობრ-596 წელს დვინის კრებაზედ, რომელიც მოხდა სომეხთ კათოლიკოსის აბრაამის თავმჯდომარეობით, სომხის ეკკლესიამ სამუდმოდ გასწყვიტა კავშირი საქართველოს მართლ-მადიდებელს ეკკლესიასთან. სწორედ ამის შემდეგ საქართველოს ალბანია, რომელიც მცხეთის კათალიკოსის სამწყსოს შეადგენდა, გაცალკევდა და აღირჩია თავისთვის საკუთარი მღვდელთ-მთავარი, კათალიკოსის სახელ-წოდებით; მისი საკათალიკოსო ტახტი არსებობდა მეათე საუკუნემდის [8]). ჩვენ დაჭეშმარიტებით არ ვიცით, როგორი უფლებანი ჰქონდა საქართველოს ალბანიის კათოლიკოსს და ან რა დამოკიდებულება ჰქონდა მცხეთის კათალიკოსთან. მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ ისეთივე დამოკიდებულება იქნებოდა საქართველოს ალბაანიის კათოლიკოსის და მცხეთის კათალიკოსის შორის, როგორიც არსებობდა მცხეთის კათალიკოზის და აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოზის შორის. მცხეთის კათალიკოზს პირველი ადგილი ეჭირა აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოზთან შედარებით. იმერეთის მეფის გიორგი მესამის მიერ ქ. ქუთაისში მოწვეულს საეკკლესიო კრებაზედ (1605 წ.) მცხეთის კათალიკოსი მალაქია თავმჯდომარედ იყო. მცხეთის კათალიკოზს, როგორც პირველს მღვდელმთავარს კავკასიის მართლ-მადიდებელ მღვდელთ-მთავართ შორის, ყოველთვის ეკუთვნოდა პირველობა პატივისა და ხანდახან უფლებისაც... სომხითის ალბანიასაც თავისი საკუთარი კათალიკოსი ჰყავდა, რომლის საბრძანებელი ცურტავში იყო [9]).

საქართველოს ალბანიის მართლ-მადიდებელს ქართველებს ძვირად დაუჯდათ განცალკევება. არსად საქართველოში ისეთი დევნა არ გამოუვლიათ მართლ-მადიდებლობისა და ქართველობის გულისთვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამცხის ძალათი გამაჰმადიანებას, როგორიც ქართველებმა გამოიარეს საქართვ. ალბანიაში. მერე ვისგან?! მეზობელ, თითქმის თანაერთ მორწმუნე სომხებისა და მათის სამღვდელოებისაგან. ამ აზრს ჩვენ დავამტკიცებთ უტყუარის, ისტორიულის საბუთებით. მანიქეველთა მწვალებლობის გარდა, საქართველოს ალბანიაში სომხის სამღვდელოების მეცადინეობით ვრცელდებოდა სომხური სწავლა-მოძღვრება. „ხოლო ჰერეთიო, ამბობს ვახუშტი შემდეგ მცხეთის კათალიკოზის კირიონისა—იქმნა სომეხთა წვალებისად მიდრეკილი, ესრედ სწერენ ეკკლესიისა მემატიანენი ქართველნი“ [10]) სომხებმა და იმათმა სამღვდელოებამ დიდი სიძულვილი და მტრობა გამოიჩინა ქართველებისა. ამ სიძულვილს და მტრობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოს ალბანიაში, სადაც რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავრო იყო, ზოგიერთგან სომეხთ მეფეთა ჩამომავლობის წევრნი მეფობდნენ. 650 წლიდგან სომხებმა დაიწყეს ერთგულად თვისის სარწმუნოების გავრცელება საქართველოს ალბანიაში. აქა-იქ გაჩნდნენ სომხის მღვდლები და ეპისკოპოსები, რომელთაც ბევრი მართლ-მადიდებელი ტაძარი დაისაკუთრეს. ისინი ყოვლის ღონისძიებით სცდილობდნენ ძირს დაეცათ, მიწასთან გაესწორებიათ მართლ-მადიდებლობა და ქართველობა და თვისის ეკკლესიის და ერის დროშა აღემართათ.

საქართველოს ალბანიის მკვიდრთა უმეტესი ნაწილი ერთგული იყო მართლ-მადიდებლობისა და ზიზღით უცქეროდა სომხობას. ყველაზედ უფრო გული შესტკიოდა მშობლიურის სარწმუნოებისა და ერისთვის საქართველოს ალბანიის ერთს მეფეთაგანს გარაზ-ტრდატს და მის მეუღლეს სფრამას. იმათ მოისურვეს ალბანიაში მართლ-მადიდებლობის განმტკიცება. ვარაზ-ტრდატმა გამოიწვია საქართველოის ერთის მაზრის, გარდაბანიდამ (ტაშირი—ქართველთ სომხითი) მეშვიდე საუკუნის გასულს ეპისკოპოსი ნერსე (სხვანაირად ბაკური), დამცველი და მფარველი მართლ-მადიდებლობისა ამ მაზრაში. საქართვ. ალბანიაში ნერსე აღირჩიეს მართლ-მადიდებელის ეკკლესიის კათალიკოსად და დიდი ნიჭი და გამჭრიახობა გამოიჩინა მართვა-გამგეობაში. მტკიცე და შეურყეველის ხასიათის მქონე, დიდად განათლებული ნერსე კრიჭაში უდგა სომხის სამღვდელოებას და იფარავდა თვისს საყვარელს ქართველს სამწყსოს გასომხებისა და გადარჯულებისაგან. თოთხმეტ — წლოვანის დაუღალავის ღვაწლის მეოხებით ნერსემ აღადგინა საქართველოს ალბანიაში მართლ-მადიდებლობითი საეკკლესიო წეს-წყობილება, შელახული სომეხთაგან, დაუბრუნა მართლ-მადიდებელის ეკკლესიის წიაღს მრავალი გასომხებული ქართველი და შემოიღო „ტიპიკონი“ (წირვა-ლოცვის წესი) მართლმადიდებლის აღმოსავლეთის ეკკლესიისა. მაგრამ სომხის სამღვდელოებამ შეიძულა და შეიზიზღა ნერსე,

[6]) H. de la Ç. t. I p. 225 not.—6.

[7]) ისტორიამ იცის ბაგრატიდები: ტაოკლარჯეთისა, აფხაზეთისა, ლორისა, კარისა, ასდისა, ალოვანისა და დიდის სომხითისა სხვანი...

[8]) крат. ист. Груз. ц... стр. 52 пр. 46:

[9]) ვახუშტის აზრით, აწინდელი ახტალა, სომხების წყაროს ჩვენებით-კი—გაჩიანი. დ. ბაქრაძე საქართვ. ისტორია. გვ. 176.

[10]) ვახუშტის ისტორია. გამოც. დ. ბაქრაძისა გვ. 108 შენიშ. 1; კირიონი მეექვსე საუკუნის გასულს სცხოვრობდა და მართლ-მადიდებლობის დიდი მფარველი იყო. ამის შესახებ შემდეგს წერილში გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკან დაბრუნდნენ, ცოტაოდენ გამოვლის შემდეგ, თითქოს გულმა უგრძნოო, ბ-ნი ექიმიცა და ბოქაულიც მირს გადმოხტნენ და ფეხით გაიარეს. ამ დროს უეცრივ ცხენები დაფრთხნენ და, როგორც იყო, მეეტლემ მირს გადმოხტომა მოასწრო თუ არა, ეტლიანად ღრიანტელში გადაეშვნენ. ონში-კი ამბავი მოვიდა, რომ ექიმი და ბოქაული ეტლით კლდეზედ გადაცვივდნენო. თუმცა ღამე იყო, მაგრამ მაინც მთელი ონი შეიძრა და დიდი თუ პატარა ყველა იმ ადგილისაკენ მიეშურებოდა, სადაც ეს ამბავი მოხდა. როცა ექიმიც და ბოქაულიც უვნებელი ჰნახეს, ყველას დიდად ესიამოვნა და მშვიდობით გადარჩენას ულოცავდნენ.

უწერასა და გლოლის ხიდს შუა ერთს ადგილას ისეა გაფუჭებული გზა, რომ ეტლსა და ცხენს-კი არა, ქვეით კაცსაც გაუჭირდება გადავლა. მამისონზედ თოვლისაგან გზის გასუფთავებისთვის ხომ არასოდეს არავის არ უფიქრნია! რაღა ბევრი გავაგრძელო, ღმერთმა ნურავის ნუ გაუჭირვოს ისე, როგორც უგზოობისა გამო ჩვენა ვართ გაჭირვებულნი.

როგორც ვიცით, ხსენებულის გზის შესაკეთებლად ყოველ წლობით არა უმცირეს 16 ათას მანეთისა არის გადადებული და თუ გზა შესამჩნევად დაზიანდა რაიმე მიზეზისა გამო, ამ თანხაზედ მეტიც. არ შეგვიძლიან არა ვთქვათ, რომ ამოდენა ფულის მოხმარება ნაკლებად ეტყობა ამ გზას. თუ ეს ფული მართლაც სავსებით იხარჯება გზისთვის, გზა უკეთესს მდგომარეობაში უნდა იყოს, ხოლო, თუ გადადებულს ფულს ანარჩუნებენ რასმეს, ე. ი. იმ საქმეს არ ახმარებენ, რისთვისაც იგი გადადებულია, სწორე უნდა სთქვას კაცმა, აგეთი საქციელი კანონიერებას მოკლებული უნდა იყოს. ისე არის თუ ასე ეს საქმე, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გუბერნიის ადმინისტრაცია ყურადღებას მიაქცევს რაჭის ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობას; ხოლო თუ გუბერნიის ადმინისტრაციამ არ იცის ჩვენი გაჭირვება, რაჭის მაზრის ადმინისტრაცია ისარგებლებს თავისის უფლებით და გუბერნიის ადმინისტრაციას აცნობებს, რა დღეშიაცა ვართ რაჭველები ჩაცვივნულნი უვარგისის გზისა გამო.

ლ. ლევანიძე

—

**სოფ. კოშკა.** წრეულს სანაქებო და საამური მინდორ-ველი, ბაღ-ვენახი და ხილები ისე შეგვიმკო გაზაფხულმა, რომ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაისის წვიმებმა ყანები და სიმინდები კეკლუცად მოგვიკაზმა და გაჰქონდა ყანებს ღელვა საიმედოდ. ვენახები იყო და ავის თვალი არ ინახოდა, სიმინდები იყო და ამ თვის ნახევარში ტაროს დაიყრიდა. ვიყავით სიხარულში. ბევრს ჭაბუკს გული უცემდა, უხვის მოსავლით ლაზათიანს ქორწილს გადაიხდიდა და გაბედნიერდებოდა კიდეც. აგრეთვე ადვილად აიცილებდა ბევრნაირ ხარჯს გლეხკაცობა და კეთილ-შობილნიც მცირეოდნად წელში გასწორდებოდნენ...

მაგრამ, ოიქვენს მტერს, რაც ჩვენ სამს ივნისს ამბავი მოგვივიდა. ოთხის ნახევარი იქნებოდა, რომ ღრუბლები აირ-დაირია და ცა შავად მოიქუშა. ტირძნისის მხრიდამ წამოიზლაზნა საზარელი ღრუბელი. ასტყდა ჭექა-ქუხილი, წამოვიდა ხოშკაკალა და მოჰყვა სეტყვა, მაგრამ რა სეტყვა, ქათმის კვერცხის ოდენა და ბორჯღლიანი, ეკლიანი. მიწად აქცია კოშკის ჭალის მამულები, აგრეთვე მტვრად აქცია კარბის ვენახები და ყანები. სიმინდი, ხილი სულ დაბერტყა. მინდვრებში მწყემსები ღრიალით მორბოდნენ; მუშა ხალხმა გუთნები მიატოვა და გაეშურნენ ხეებისაკენ თავშესაფარებლად. ბევრს მწყემსს გაუტეხა თავპირი სეტყვამ. ბევრი წვრილ-ფეხა საქონელიც იმსხვერპლა, აგრეთვე ღორები დახოცა მინდორში. ეკლიანმა სეტყვამ დააზარალა ფლავი, ფლავისმანი, ქერე, ზემო ქერეს მამულები, ჩაურბინა ტყვიავს და შთანთქა მთელი ვენახები და მამულები, ნაალაგევიც კი აღარ ატყვია ზოგ-ზოგან. ტყვიავში ბევრს გლეხ-კაცს სახლები დაუქცია. ბევრი მეკომური ერთი-ერთმანერთთან შეიხიზნენ და მოსთქვამდნენ მწარედ. მინდვრიდგან დაბრუნებული გლეხ-კაცობა ბევრი მიიჭრა გონება არეული ცოლშვილთან და შეჰყვირა: წამოიყვანე, დედაკაცო, ე ბავშვებიც და წავიდეთ, გადავცვივდეთ ლიახვში, რიღასთვის უნდა დავრჩეთ აქაო?“

ზემო ქართლელი ქალი

# რუსეთი

—

30 ივნისს პეტერბურგში რუსეთის რკინის გზათა მოძრაობის უფროსთა კრება მოხდება. კრებამ მომავალის ზამთრისთვის ახალი წესრიგი უნდა შეიმუშავოს მატარებელთა მიმოსვლისა.

— მომავალ საერთა შორისო მკურნალთა კრება იმითია შესანიშნავიო, სწერს გაზ. „ნოვ. ვრემია“, რომ ამ კრებას მრავალი მკურნალი ქალი დაესწრება და, სხვათა შორის, ქ-ნი პიხოტონოვა, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფებაო. ქ-ნი პიხოტონოვა თავისს მოხსენებასაც თურმე წარუდგენს კრებას.

— მთელის რუსეთის იმპერიის საბეითალო ნაწილის მმართვა-გამგეობა ახალის კანონით ძირითადად უნდა შეიცვალოსო, სწერს იგივე „ნოვოე ვრემია“. სახელმწიფო საბჭოს, შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებისა თანხმად, დაუდგენია: 1) ყველა საბეითალო საქმე და აგრეთვე მთელი საბეითალო-სასანიტარო ნაწილი საგუბერნიო სამკურნალო ინსპექტორთა და საგუბერნიო, საოლქო გამგეობათა სამკურნალო განყოფილებიდამ გამორიცხულ იქმნას; 2) აწ არსებულ საგუბერნიო და საოლქო უფროს ბეითალთა თანამდებობის მაგიერად ახალი კერძო საგუბერნიო ბეითალთა თანამდებობა იქმნას დაწესებული; ამათ საგუბერნიო მმართველობის წევრთა უფლება მიენიჭებათ და მმართველობის საზოგადო საკრებულო სხდომებს ყოველთვის დაესწრებიან; 3) ხსენებულ საგუბერნიო ბეითალებს დავალებული ექმნებათ: ა) აასრულონ ყველა ის მოვალეობა, რომელსაც დღემდის საგუბერნიო საბეითალო ინსპექტორები ასრულებენ; ბ) თვალ-ყური ადევნონ მთელის გუბერნიის საბეითალო-სასანიტარო მდგომარეობას; გ) იარონ მთელს გუბერნიაში და საქონლის გადამდებ სენთა წინააღმდეგ ჯეროვანი საშუალება იღონონ ხოლმე; დ) ამათ მოვალეობას შეადგენს საბეითალო ნაწილის საქმეთა წარმოება და გუბერნიის სამმართველოს საზოგადო საკრებულოში მოხსენების წარდგენა; 4) გუბერნიის ბეითალის თანამდებობას მიენიჭოს: ა) მე-VI კლასსის ღირსება, მუნდირი ამავე კლასისა და პენსია; ბ) წლიურად მიეცეს ჯამაგირად 2.000 მან. ზაბაიკალისა, პრიმორსკისა და იაკუტსკის ოლქებში, ხოლო რუსეთის დანარჩენს გუბერნიებსა და ოლქებში 1,500 მან. საბეითალო ნაწილის საქმეთა წარმოებისათვის თითოეულს გუბერნიასა და ოლქს მიეცეს 500 მან., რომლის განაწილებაც საჭიროებისა-და მიხედვით შინაგან საქმეთა მინისტრს დაექვემდებარებაო.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთ-საბერძნეთის ზავი.** კარგა ხანია, რაც ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ და ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა თევთიკ-ფაშამ მოლაპარაკება დაიწყეს ზავის პირობათა გამორკვევის შესახებ, მაგრამ ჯერ ვერ გაუთავებიათ საქმე და, როგორც ეტყობა, მოლაპარაკება კიდევ დიდ ხანს გასტანს. ამისი მიზეზი, ერთის მხრით, თვით ოსმალეთია, რომელსაც თესალიის ხელიდგან გაშვება ძალიან ეძნელება და ამის გამო ამ პროვინციის შესახებ თავისის აზრის წარმოთქმას აგვიანებს, მეორეს მხრივ — ევროპის სახელმწიფოთა შეუთანხმობა, მოურიგებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ თავი იჩინეს ინგლისმა და გერმანიამ. მაშინ — როდესაც გერმანია მეტს მფარველობას და შემწეობას უწევს ოსმალეთს და სცდილობს, ამ უკანასკნელმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოიტანოს გამარჯვებიდგან, ინგლისი, პირ-იქით, ყოველ ღონესა ჰხმარობს, ოსმალეთი ცირიელზედ დასვას და არამც თუ თესალია არ ჩაუგდოს ხელში, არამედ სამხედრო ჯილდოცა-კი, რომელიც ოსმალეთს საბერძნეთისაგან ერგება, რაც შეიძლება დაკლებული და შემცირებული იქმნას. რასაკვირველია, საქმის ასეთის ვითარების გამო მოლაპარაკება ზავის შესახებ მალე ვერ დასრულდება და კიდევ კარგა ხანს გასტანს. ასეა თუ ისე, ოსმალეთი ამ გარემოებით ისარგებლებს და თუ თესალია ვერ დაიბრუნა, სხვაფრივ მაინც გამორჩება რასმეს.

— გაზ. ,,Times''-ი იუწყება, რომ ოსმალეთის მთავრობას აზრადა აქვს დაუთმოს კრიტი საბერძნეთს, თუ ეს უკანასკნელი თავის მხრივ თესალიას დაუთმობს. ამ შემთხვევაში პორტა მზად არის სამხედრო ხარჯზედაც-კი აიღოს ხელიო. მაგრამ, გაზეთის სიტყვით, საბერძნეთმა თუნდა თანხმობა გამოაცხადოს, ევროპის სახელმწიფონი წინაამდეგნი იქმნებიან ასეთის განაწილებისაო.

იმავე გაზეთის სიტყვით, ოსმალეთი თავისას არ იშლის და დიდს სამხედრო მზადებაშია თურმე. აზიაში მყოფ 32 ბატალიონს ბრძანება მიუღია, საომრად მოემზადენით და პირველი გამოწვევისათანავე გზას დაადექითო. ამბობენ, რომ ასეთივე ბრძანება 72 სხვა ბატალიონსაც გაეგზავნებაო. ასეთი მზადება გამოწვეულია იმის გამო, რომ ოსმალეთს უეჭველად უნდა თესალია შეინარჩუნოსო.

—

**საბერძნეთი.** გაზეთების სიტყვით საბერძნეთის ხალხი თან და თან

---

ეს მოსე წინასწარმეტყველი დ ზოროაბაბელი საქართველოს ალბანიისა დ პირდაპირის ბრძოლით რომ ვერა გააწყეს რა, სომხებმა სხვა და სხვა უმართებულო საშუალებათა და ხერხს მიჰმართეს. სომეხთ კათალიკოსმა ილიამ სამღვდელოების რჩევით დაბეზღების წერილი მისწერა 714 წელსა ტფილისის ემირს, აბდილ მელიქელმონს, რომელიც ქართველთ და სომეხთ უფროსად იყო დაყენებული არაბთაგან, ნერსეზედ და ვარაზ-ტრდატზედ. ილია კათოლიკოსი სწერდა ემირს: „ალბანიის კათოლიკოსმა ბაკურმა, იგივე ნერსემ, საბერძნეთის იმპერატორთან შეჰკრა პირობა და მას მოიხსენიებს ლოცვებში. ის ძალას-ატანს ალბანელებს მიიღონ მართლ-მადიდებლობა მისი თანამგრძნობელი — ერთი საპატიო ქალია. უბრძანეთ, რათა დასჯილ იქმნენ ისინი შენის უფლებით“. სომხის კათალიკოსი ილია პოლიტიკურს დაბეზღებას ჰგზავნის მაჰმადიანს ემირთან, თავის დაბეზღებაში ის გამოდის მომხრე მაჰმადიანობისა, მტერი ქრისტეს ჯვრისა, გამცემი იესო მაცხოვრისა. ის აბეზღებს მართლმადიდებლის ქართველების კათოლიკოსს, ჩირქსა სცხებს მისს მიმართულებას და სცდილობს დაღუპოს ნერსე, ვარაზ-ტრდატი და „ერთი საპატიო ქალი“, ეს სამი მტკიცე ბურჯი მართლმადიდებლობისა და ქართველობისა საქართველოს ალბანიაში. ის არ ერიდება, არა სთაკილობს არავითარს საშუალებას, რომ დაჰღუპოს, თავიდამ მოიშოროს ისინი, რომელნიც თვალს უხელენ თავისს ღვიძლსა და მოძმე ერსა და სცდილობენ დაიხსნან იგი გასომხებისაგან, ილია კათოლიკოსი ხელ-მძღვანელობს ანგარიშით, მისი საგანი — ფრიად ქვენაა, მიწიერია, ხოლციელია და არ შეჰფერის მაცხოვრის მოადგილეს, რომელიც ამ შემთხვევაში ცხვრის ტყავში გახვეულს მგელს უფრო ჰგავს, ვიდრე სათნოებისა და სიყვარულის ქადაგს. ემირისთვის სრულიად საკმარისი იყო ეს დაბეზღება. არაბები ეჭვის თვალით უცქეროდნენ ქართველებს, როგორც ბერძნებისთანა ერთმორწმუნე ერსა და მათს მოკავშირეს ჰირსა და ლხინში და სურდათ ისინი როგორმე დაეშორებინათ მართლმადიდებლობითს აღსარებას. არაბები მართლმადიდებლობის მოძულე სომხებს კარგის თვალით უცქეროდნენ და ამიტომ თითქმის ყველაფერში ხელს უწყობდნენ. ერთობა რომ არა ჰქონდათ ბერძნებს, სომხებს და ქართველებს, აკი იმიტომ გაძლიერდა მცირე აზიაში ჯერ ზოროასტრის სჯული და მერე მაჰმადიანობა! სომხებმა შელახეს ეს ერთობა, მათ უღალატეს სამის ქრისტიანის ერის კავშირს აღმოსავლეთში.

ილიას და სომხობას თანაუგრძნობ და ვიღაც თავადი შერო, რომლის ვინაობა კარგად არაა გამორკვეული. ამ შეროს ჰსურდა სამეფო ტახტი ეშოვნა და მტრდობდა ვარაზ-ტრდატს და იმისს მომხრე კათალიკოსს ნერსეს... შერო ან იქნებოდა ტომით და სარწმუნოებით სომეხი და ან გასომხებული ქართველი თავადი; ყოველს შემთხვევაში შერო დიდად თანაუგრძნობდა სომხის სამღვდელოების სურვილს. სომხებს ჰსურდათ მართლმადიდებლობის და ქართველობის მოყვარულის ვარაზ-ტრდატის მაგივრად სამეფო ტახტზედ დაესვათ შერო, იგეთი კაცი, რომელიც სომხის სამღვდელოების მოღვაწეობას თანაუგრძნობდა და დახმარებას უწევდა. დაბეზღების წერილმა გასჭრა. ემირმა ჰბრძანა დაეპატიმრებინათ ნერსე და მისი თანამგრძნობი საპატიო ქალი. შერომ საიდუმლოდ შეიპყრო ნერსე და ფრიად სტანჯა იგი. შერომ ნერსე და საპატიო ქალი ერთმანერთს ფეხებით გადააბა და განიზრახა მათი გაგზავნა უცხო მხარეში. კათოლიკოსმა ნერსემ ვერ გაუძლო ასეთს დიდს შეურაცხყოფას და გარდაიცვალა რვა დღის შემდეგ. მან დასწყევლა შერო როგორც მიზეზი თვისის დაღუპვისა და დასტოვა ანდერძი დაესაფლავებინათ იმავე ბორკილებში, რომლებიც ფეხებზედ ჰქონდა.

დაბეჯითებით არ ვიცით, თუ ვინ იყო ზემოხსენებული „საპატიო ქალი“. სჩანს, რომ ის დიდი მფარველი იყო მართლ-მადიდებლობისა და ქართველების გულ შემატკივარი. შეიძლება ის მდიდარი იყო და თვისს სიმდიდრეს მართლ-მადიდებლის ეკკლესიების გამშვენებას და მათთან სკოლების დაარსების საქმეს ახმარებდა. ის, როგორც დაბეზღების წერილიდგან სჩანს, ნერსე კათოლიკოზის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. სომხებმა რეები არ დაწამეს ნერსეს და ამ ყოვლად პატიოსანს მოძმე ერისა და მშობლიურის სარწმუნოებისთვის თავ დადებულს ქალსა?! ყველა მიხვდება, თუ რად გადააბეს ნერსე და ეს ქალი ფეხებით ერთმანერთსა!! ნერსეს გარდაცვალება ფრიად ესიამოვნა სომხის სამღვდელოებას... ის გამძვინვარებული ეცა ნერსეს სადგომში მის ყუთებს, რომლებიც წიგნებით იყო სავსე... სომხის სამღვდელოებამ ეს ყუთები მდინარეში ჩააყრევინა იმ წიგნებითურთ, რომელნიც, სომხების აზრით, „მწვალებლობით“ სავსე იყვნენ, ესე იგი ის წიგნები, რომლებშიაც დაწერილი იყო მართლ-მადიდებლობითი სწავლა მოძღვრება... საქართველოს ეკკლესიამ ნერსე წმიდათა შორის შერაცხა, როგორც მოწმობს ერთი ისტორიკოსი სომეხი.[11]) ჩვენ მხოლოდ არ ვიცით, რომელს დღეს სცემდა პატივს საქართველოს ეკკლესია. წმ. ნერსეს [illegible] ხსენებს, შედგენილ იქმნენ თუ არა მის სადიდებლად საეკლესიო საგალობლები. პირველიც და მეორეც უეჭველად იქნებოდა, მაგრამ დროთა ვითარების გამო ჩვენამდის ვერ მოუღწევია. ბევრი ნაშთი დაკარგული ჩვენის ძველის მწერლობისა და მათ შესახებ არა ვიცით რა; რამდენი ისეთი ქართველია, რომელნიც ზვარაკად შეწირნენ თავის სამშობლოს და მართლ-მადიდებლობითი ეკკლესიას და მათ შესახებ დღეს-კი არა ვიცით რა...

ფარი

(დასასრული იქნება)

[11]) Свѣдѣн. о памятн. груз письменности. А. Цагарели каталогъ груз. рукописей стр. 5 № 57.

წყნარდება და მეფისა და იმის სახლობის წინააღმდეგ თითქმის აღარაფერს ამბობს. საზოგადოება და საუკეთესო ჟურნალ-გაზეთები დინჯად და სამართლიანად შეუდგნენ დამარცხების მიზეზების გამორკვევას და აშკარად დაანახვეს ყველას, რომ მეფეს და სამეფო გვარეულობის სხვა წევრთ თითქმის არავითარი დანაშაული არ მიუძღვით. ხალხმა გაიგო, რომ მეფის ერთად-ერთი დანაშაული ის იყო, რომ მეტად თანაუგრძნობდა თავისს ერს და იმასთან ერთად მამულიშვილურს ღელვას მიეცა. გაზეთები იმასაც ამბობენ, რომ მეფის წინააღმდეგ მოძრაობაში მკვიდრთ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათო. ეს ალიაქოთი სხვა ქვეყნებიდგან მოსულმა ხალხმა ასტეხა, რომელთა შორის მრავალი ანარხისტი იყოო.

—

**საფრანგეთი.** გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის მოსაკლავად განზრახულ აფეთქების ამბავს. აი საქმე როგორ ყოფილა: ფელიქს ფორი მეუღლითურთ ეტლით მიდიოდა თურმე ლანშანში დოლზე. იმავე ეტლში ისხდნენ გენერალი გაგრონომი და პოლკოვნიკი მენეტრე. პრეზიდენტის ეტლს უკან სხვა ეტლი მოსდევდა, რომელშიაც ფელიქს ფორის ქალი-შვილი და სამი სხვა ქალი იჯდა. ლანშანის ხეივანში შესვლის დროს თოფის ხმა მოესმათ. ფელიქს ფორმა და გაგრონომმა უკან მიიხედეს და ცოტაოდენი კომლის მეტი რომ ვერაფერი შეამჩნიეს, ისევ ისე დამშვიდებულებმა განაგრძეს გზა. მაგრამ ამ დროს ხალხი აჩოჩქოლდა, ერთი მხრისკენ გაქანდა და პოლიციელს შემოეხვია, რომელსაც ხელში რაღაც მანქანა ეჭირა. ხალხს პოლიციელი ეგონა ამფეთქებელი და დაუწყო ცემა. ბოლოს სხვა პოლიციელთ რის ვაი-ვაგლახით განათავისუფლეს თურმე მთლად სისხლში ამოსვრილი პოლიციელი და საავადმყოფოში გაისტუმრეს. იმ ადგილზედ, სადაც აფეთქება მოხდა, უპოვიათ დამბაჩა, რომელზედაც შემდეგი წარწერა ყოფილა: „ელზას—ლოტარინგია. პოლშა. დასჯა ფელიქს ფორს“.

ხალხი დიდის ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით მიეგება პრეზიდენტს და მიულოცა მშვიდობით გადარჩენა.

ეხლა საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები იმის ჩხრეკა-ძიებაში არიან, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ საქციელის ჩამდენიო. ზოგის სიტყვით ეს საქმე იმათ ჩაიდინეს, ვინც ფელიქს ფორის რუსეთში გამგზავრების წინააღმდეგიაო; ზოგი კიდევ თვით პარიჟის პოლიციას აბრალებს. პოლიციამ ვითომ მოსაჩვენებლად მოახდინა აფეთქება, რომ თავის სიმამაცე გამოეჩინა და ამითი პრეზიდენტის გული მოეგოო. მაგრამ სიმართლესთან ახლო უფრო ის გაზეთები არიან, რომელნიც აფეთქებას ანარხისტებს აბრალებენ. მართლაც, ანარხისტები თუ ჩაიდენდნენ ასეთ საქმეს, თორემ სხვა ვინ განიზრახავდა ყველას საყვარელს პრეზიდენტის მოკვლას.

## ნაკვესი

—

ერთმა კაცმა, რომელიც ძნელად მოისაზრებდა ხოლმე ყველაფერს, ჰკითხა ერთხელ სადილად თავისს გვერდით მჯდომარეს:

—ნება მომეცით გკითხოთ, მამათქვენს შვილები ჰყავდაო?

— რასაკვირველია, ჰყავდა. რომ არა ჰყოლოდა, ხომ არც მე ვიქნებოდი იმისი შვილი!

— მართალსა ბრძანებთ. უკაცრავად, მე აღარ ვიფიქრე!..

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკაში ერთს მეცნიერს, გვარად კენეის, უცდია, რა მნიშვნელობა აქვს ელექტრონის ძალას მცენარის ზრდაზედ და აღმოჩენილა, რომ ელექტრონის ძალის შემწეობით მცენარე 30 პროცენტით უფრო სწრაფად იზრდება. ეჭვი არ არის, ამ ამბავს ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექმნება მეურნეობისათვის და მცოდნე მემამულენი სასარგებლოდ გამოიყენებენ ელექტრონის ძალას.

* * *

დარწმუნებულნი ვართ, რომ ბევრს არ ეცოდინება, რამდენი გაზეთი იბეჭდება არაბულს ენაზედ და რომელ ქალაქში, ამიტომ ზოგიერთ საყურადღებო ცნობას ვაუწყებთ. არაბულს ენაზედ პირველი გაზეთი დაარსდა ქაირში 57 წლის წინად. ამ გაზეთს სახელად ეწოდება „ელვაკა“ (ახალი ამბები). გაზეთი ყოველ დღე გამოდის. 1860 წელს ბეირუთს დაარსდა მეორე გაზეთი „ჰადიკატ ელ ახბარ“ (ახალ ამბების წალკოტი). ეს გაზეთი ორ ენაზედ იბეჭდება—ფრანგულსა და არაბულზედ. ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ გაზეთს. ახალ ამბად ისეთი დეპეშები იბეჭდება ხოლმე, რომელიც სხვა გაზეთებში ორისა და სამის კვირის წინად ყოფილა დაბეჭდილი, მაგრამ ამისათვის მკითხველნი არ ემდურებიან გაზეთს. მესამე არაბული გაზეთი აგერ 35 წელიწადია, რაც იბეჭდება ტუნისში. გაზეთს სახელად ეწოდება: „რაიდ ელ ტუნიზი“. ერთმა შეიჰ აჰმედ ფარის ელ შედიაქმა დააარსა არაბული გაზეთი „ჟაბაბ“, რომელსაც ძლიერ ეტანებოდა ხალხი, მაგრამ არაბი-ფაშას გადაყენების შემდეგ ეს გაზეთი მოისპო. 1870 წელს პროფესორმა ბუტროს ბოსტანიმ ბეირუთში გამოსცა საპოლიტიკო და სამეცნიერო გაზეთი „ჟენო“. თითქმის ამავე დროს დაარსდა არაბულივე საპოლიტიკო გაზეთი „ჟენატ“. ეს უკანასკნელი გაზეთი ისე გავრცელდა ლივანში, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი ყველა გაზეთს „ჟენატს“ ეძახიან. ეს ორი გაზეთი ეხლა აღარ გამოდის. შემდეგ დაარსდა არაბული გაზეთები: „სამრატ ელ ფენუნ“ (განათლების ნაყოფი), „რაკადდამ“ (პროგრესი), „ნაიხახ“ (გამარჯვება) და მრავალი სხვა. საყურადღებოა, რომ ბეირუთში ერთის გაზეთის გამომცემლებად იეზუიტები იყვნენ. არაბული გაზეთები იბეჭდება ოსმალეთსა, ეგვიპტეში და სხვა ადგილებშიაც, სადაც კი არაბული ენა არსებობს: მოროკოს, ტუნისს, ინდოეთსა და მცირე აზიაში. ერთი არაბული გაზეთი თურმე ნიუ-იორკში იბეჭდება, ორი— ბრაზილიაში. გარდა ამისა ერთი არაბული გაზეთი ლონდონში გამოდის და ერთიც პარიჟში. ამ ჟამად მთელ დედამიწის ზურგზედ გამოდის ასამდე არაბული გაზეთი, ამათში ორმოც-და-ათი მარტო ეგვიპტეში იბეჭდება. ეს იმით აიხსნება, რომ ეგვიპტეში არავითარი ცენზურა არ არის და გაზეთს სრული ნება აქვს, რაც უნდა ჰბეჭდოს. ყოველ წელიწადს მრავალი ახალი გაზეთი არსდება ეგვიპტეში, მაგრამ ძლიერ მალე მოისპობა ხოლმე. 1893 წელს ეგვიპტეში დაარსდა 50 ახალი ჟურნალი და გაზეთი. ეხლა კი ამ ჟურნალ-გაზეთებიდგან ათიოდე ძლივს არსებობს. არაბულ გაზეთების რედაქტორებად და თანამშრომლებად ეგვიპტეში უფრო სირიელნი არიან, რადგანაც თავიანთ სამშობლოში სალიტერატურო შრომას გასავალი არა აქვს. რაც შეეხება ოსმალეთს, აქ-კი არაბულ გაზეთების რედაქტორ-გამომცემლები დიდს გასაჭირში არიან, რადგანაც ცენზურა მეტად სასტიკია. რედაქტორს ყოველ დღე ორის გაზეთის მასალა უნდა ჰქონდეს მზად აწყობილი, თუ უნდა, რომ გაზეთი ყოველ დღე გამოვიდეს, რადგანაც ცენზურა ნახევარ გაზეთს უეჭველად წაშლის ხოლმე. ვისაც-კი ცენზორის ბრჭყალებიდგან თავის დახწევა უნდა, ქრთამი უნდა მისცეს, თუმცა ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ისეთის წერილის დაბეჭდვა, რომელიც სახელმწიფო წეს-წყობილებას შეეხება, დიდის ქრთამითაც შეუძლებელია. ერთის გადამლაშებულის სიტყვის გამო ოსმალეთის მთავრობა ხშირად სამუდამოდ მოსპობს ხოლმე გაზეთს. ამიტომ საუკეთესო ჟურნალისტები ეგვიპტეში მიდიან და იქა ჰბეჭდავენ გაზეთებს.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. მაჭავარიანის მიერ ქართულად გადმოთარგმნილი ფრანგულიდგან ერკმან შატრიანის საუცხოო ნაწარმოები „გლეხი-კაცის ისტორია“. წინად იგი ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდებოდა და ეხლა ცალკე წიგნად არის გამოცემული. წიგნი შეიცავს 294 გვერდს ხსენებულს ჟურნალის ფორმატისას და ჰღირს თხუთმეტი შაური.

—

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „აბრამ ლინკოლნი—ამერიკის ზანგების განმათავისუფლებელი“, თარგმანი იასონ წერეთლისა, გამოცემული ივანე როსტომაშვილის რედაქციით. აბრამ ლინკოლნი იყო უბრალო გლეხის შვილი და, თუმცა დავაჟკაცებამდე თითქმის არაფერი ესწავლა, გარდა შინაური წერა-კითხვისა, მაინც მას შემდეგ-თითონ თავის-თავად და მხოლოდ წიგნების კითხვით და დახმარებით ისე კარგად მომზადებულა და განვითარებულა, რომ პირველ-ხარისხოვან და სახელ-განთქმულ იურისტად გამხდარა და ბოლოს, 1860 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტადაც აურჩევიათ, რომელს თანამდებობაშიაც მან ფრიად დიდი და დიდი ღვაწლი დასდო სამშობლოს. აი, ასეთის კაცის ცხოვრება —მოქმედებაა აწერილი ამ წიგნში და, მართლაც რომ, როგორც სასამართლიანად შენიშნავს მთარგმნელი, „წაკითხვა ამ წიგნისა ერთი ორად აამფრთოვანებს ხალხის სულიერ ძალებს“.

წიგნი შეიცავს 60 გვერდს ლინკოლნის სურათით და ღირს ორი შაური.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ გლეხს ივანე ვასილის ძეს სამადაღაშვილს, რომელმაც შემოსწირა ტირძნისის მეორე კლასიან სამოსწავლო სკოლას სამი ეზოს ფარანი ლამფებით, ღირებული სულ თორმეტ მანეთად, და მღვდელს მ. დიმიტრი კასრაძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლის სამკითხველოს ათი მანეთი.

მასწავლებელი ს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 205½ | — „ | — „ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅞ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 101⅜ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¾ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 283 | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | 245 |


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა,
თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან.

ახლად გამოვიდა და ისყიდება

## იოანე მოწყალე

და

ცხოვრება მისი 1 სურათით.

გამოცემა უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა, თარგმანი თ. სახოკიასი. წიგნი 55 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში.

(3 –120—2)

გამოვიდა და ისყიდება

ი. პ. ბრონ ფონ-ბრენნერის წიგნი

## საკომერციო არითმეტიკა

სავაჭრო და საბანკო ოპერაციები

სრული სახელმძღვანელო 520 ამოცანით და ცხრილებით.

ფასი **2** მანეთი

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ავტორთან: მიხეილის ქუჩა, № 71, და ბარიათინსკის ქუჩა, სასოფლო სამეურნეო ბანკი.

(5—6.—1)

# „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით და 13 დღით — | 9 | 60 | 6 | „ — — — — | 6 | „ |
| 11 | „ — — — — | 9 | 50 | 5 | „ — — — | 5 | 50 |
| 0 | „ — — — — | 8 | 75 | 4 | „ — — — | 4 | 75 |
| 9 | „ — — — — | 8 | „ | 3 | „ — — — — | 3 | 50 |
| 8 | „ — — — — | 7 | 25 | 2 | „ — — — — | 2 | 75 |
| 7 | „ — — — — | 6 | 50 | 1 | „ — — — — | 1 | 50 |

აზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверія“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

ი. ვოკიელოვის შვილების

## სავაჭრო

ქუთაისში

გადატანილია იმავე მიხეილის ქუჩაზედ, საკუთარს მამულში, „ოკრუჟნოი სუდის“ პირდაპირ, სადაც ვთხოვთ მიჰმართონ მსურველთ თვისის მოთხოვნილებით.

(10—108—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Юнія 1897 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.